მითების დეტექტორი

სახელისუფლებო და კრემლისტური აქტორები "აგენტების კანონის" დასაცავად და საპროტესტო აქციების წინააღმდეგ

მაგდა მაგდა

=

MAHBUBA MAMMADZADA

ზაზა სვანაძე

=

ДМИТРИЙ ДЕРЕВНИН

NINO MAISURADZE

=

ЕКАТЕРИНА ТКАЧЕНКО

MANCHI NEBIERIDZE

=

ქენდალ ჯენერი

NINI LOMJARIA

=

AISHA RUGGERI

სახელისუფლებო და კრემლისტური აქტორები "აგენტების კანონის" დასაცავად და საპროტესტო აქციების წინააღმდეგ

ავტორი: ანი ქისტაური
მონაცემების დამუშავება: სანდრო გიგაური, მარიამ ბიწაძე

მითების დეტექტორი

www.mythdetector.ge

2023 წლის 14 და 27 თებერვალს საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალმა ჯგუფმა - "ხალხის ძალამ" საქართველოს პარლამენტში ორი კანონპროექტი: „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ წარადგინა. კანონპროექტის თანახმად, ის არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან ფინანსდებიან, "უცხოური გავლენის აგენტებად" უნდა დარეგისტრირებულიყვნენ. აგენტების შესახებ კანონპროექტების ავტორები ამტკიცებდნენ, რომ კანონმდებლობის მიზანი იმ არასამთავრობო და მედიის მედია ორგანიზაციების გამჭვირვალობის მიღწევა იყო, რომლებიც დაფინანსებას უცხო ქვეყნებიდან იღებდნენ.

მიუხედავად ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკისა, კანონპროექტების განხილვა პარლამენტმა 2 მარტს დაიწყო, რასაც საპროტესტო აქცია და ფიზიკური დაპირისპირებაც მოჰყვა. 6 მარტს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძემ თქვა, რომ კანონპროექტების განხილვას პარლამენტი ხუთშაბათს, 9 მარტს დაიწყებოდა, თუმცა 7 მარტს პლენარული სხდომის დღის წესრიგი მოულოდნელად შეცვალა და კანონპროექტს “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მხარი “ქართული ოცნებისა” და “ხალხის ძალის” 78-მა დეპუტატმა დაუჭირა. გადაწყვეტილებას პარლამენტის შენობასთან ფართომასშტაბიანი აქციები მოჰყვა. დემონსტრაცია 7 და 8 მარტს სპეცრაზმმა გაზის, წყლის ჭავლისა და წიწაკის სპრეის გამოყენებით დაშალა. ათობით დაშავებული საავადმყოფოში მოხვდა. 60-მდე ადამიანი კი პოლიციამ დააკავა.

პროტესტის პარალელურად, რომელიც 2 მარტს დაიწყო, სოციალურ ქსელში არაერთი ანონიმური ფეისბუკ გვერდი და ყალბი ანაგარიში გააქტიურდა. კამპანიაში სახელისუფლებო და ანონიმური ფეისბუკ გვერდები, ასევე, ანტიდასავლური და კრემლისტური აქტორებიც ჩაერთვნენ, რომლებიც ერთი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის დისკრედიტაციას ეწეოდნენ, მეორე მხრივ კი, პროტესტში მონაწილე პირებს აკრიტიკებდნენ. “მითების დეტექტორის” მონიტორინგის შედეგად დისკრედიტაციისა და დეზინფორმაციის კამპანიაში ჩართული 33 ფეისბუკ გვერდი, 27 ყალბი ანგარიში გამოავლინდა.

დაკვირვების შედეგად შემდეგი გზავნილები გამოვლინდა:

- არასამთავრობოები გრანტიჭამიები, არაგამჭვირვალეები არიან
- არასამთავრობოები ებრძვიან ეკლესიას/მართლმადიდებლობას
- არასამთავრობო ორგანიზაციები თავს გვახვევენ ჰომოსექსუალობას
- აქცია ძალადობრივი იყო
- პროტესტი მაიდნის მოწყობას და მეორე ფრონტის გახსნას ისახავდა მიზნად
- ამერიკულ კანონს, რომელსაც სხვა ქვეყნებიც იღებენ, რუსულად მიზანმიმართულად წარმოაჩენენ

არასამთავრობოები გრანტიჭამიები, არაგამჭვირვალეები არიან

როგორც ხალხის ძალის წარმომადგენლები, ასევე სახელისუფლებო ექსპერტები და ანონიმური სახელისუფლებო ფეისბუქ ანგარიშები ("პოლიტიკური აბსურდი", ტერენტი გლდანელი) ამკვიდრებდნენ აზრს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მხოლოდ ფინანსური ინტერესი ამოძრავებთ, ისინი გრანტიჭამიები არიან და გამჭვირვალობას გაურბიან.

თამთა მეგრელიშვილი, საზოგადოებრივი მოძრაობა "ხალხის ძალა": „უსამშობლო „ნაცების" აქციაზე ქართველი ენჯეოშნიკები ითხოვენ, ხალხო გამოდით, ჩვენი ფულის გაუმჭვირვალობის დასაცავად ქუჩაში დადექითო".

გია აბაშიძე, ანალიტიკოსი: "აქაც არიან ხომ გიგაურები და ა.შ, რომლებიც ანტისამთავრობო განცხადებებს აკეთებენ და რაში იხარჯება ეს მათი ფული ძაან გვაინტერესებს. ანუ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო არის გამჭვირვალობის წინააღმდეგი, აბსოლიტური პარადოქსია ხომ?!"



ფეისბუკ გვერდმა პოლიტიკური აბსურდი აღწერით "გრანტიჭამიების ისტერია" გამოაქვეყნა ვიდეოკოლაჟი, რომელსაც ოპოზიციონერი დეპუტატების, ხათუნა სამნიძის, თამარ კორძაიას, ანა ნაცვლიშვილის და ანა წითლიძის გამოსვლებს ფილმის "დათა თუთაშხია" ფრაგმენტი აქვს დართული. ფილმის ამ ნაწილში ერთ-ერთი პერსონაჟი, კიკუ ფულის მონეტას აკვირდება, შემდეგ კი კოცნის მას. პარლამენტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონპროექტის განხილვისას ხათუნა სამნიძისა და თამარ კორძაიას კომენტარების შემცველი ვიდეოები ფეისბუკ გვერდმა "ტერენტი გლდანელი" (1,2) აღწერით "სახედაკარგული გრანტიჭამია" გამოაქვეყნა. ხათუნა სამნიძის ვიდეო ასევე გაავრცელა ფეისბუკ გვერდმა რეალობა.

ხათუნა სამნიძისა და თამარ კორძაიას ვიდოეოები გაავრცელეს “პატრიოტთა ალიანსთან” დაკავშირებულმა ფეისბუკ გვერდებმა [პოლიტიკოსები 1 ლარიდან](), [ირონიუსი]().



ხათუნა სამნიძის ვიდეო გააზიარეს კრემლისტურმა ანგარიშებმაც: მაგალითად, [ერმილე ნემსაძე]() წერდა, რომ უბედურებაა “ამდენი ფულზე დამწარებული ქალის” დანახვა, რომლებიც "Pussy Riot"-ს ქართული [ვარიანტს]() წარმოადგენენ. ამავე დროს, ფეისბუკ ანგარიში [ორკ ესტრი]() ამტკიცებდა, რომ ეს არის კოლექტიური პროდასავლელი ლიბერალი მონების და სამშობლოს

გამყიდველი მოღალატეების სახე, როდესაც მათ უცხოურ დაფინანსებას საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, ფეისბუკ “ჯგუფში ზურაბ მახარაძის მხარდამჭერები” (1,2) ხათუნა სამნიძისა და თამარ კორძაიას ფოტოები გავრცელდა, პოსტებში ნათქვამი იყო, რომ მათ მხოლოდ გრანტების მოკლება აღელვებთ.

8-10 მარტის პერიოდში კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერმა ანგარიშებმა (Goga Tukhareli, ნინი ხუნდაძე, ზვიადი წაქაძე, ხატია ჯანაშია, George Toreli) მარქსისტული მედიის “კოოპერატივის” მიერ 2021 წლის მარტში გადაღებული ვიდეო გაავრცელეს. ვიდეოში ნათქვამია, რომ ამ ორგანიზაციებს უცხო ქვეყნების მთავრობები აფინანსებენ, მაგრამ მაინც “არასამთავრობო ორგანიზაციები” ჰქვიათ და მათ მდიდარი ქვეყნები ფულს იმიტომ უხდიან, რომ ქართულ პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ. იდენტური ვიდეო სხვა ფეისბუკ მომხმარებლებმაც ლა ზი, ლაშა ლაშა გაავრცელეს.

ხელისუფლების მხარდამჭერი ანონიმური ანგარიშები (პოლიტიკური რენტგენი/Political X-ray (1, 2), რეალობა, პოლიტიკური მასკარადი) ამტკიცებდნენ, რომ არასამთავრობოები გამჭვირვალობას გაურბიან და მათი დაფინანსების მიზნობრიობა საფრთხეს უქმნის ეროვნულ ინტერესებს, რადგან ისინი ეკლესიის, მშობლებისა და სამშობლოს მაგინებლები არიან. ფეისბუკ გვერდი პოლიტიკური მასკარადი, რომლის თავდაპირველი სახელწოდებაც “სოლიდარობა ბიძინა ივანიშვილს” იყო, წერდა, რომ ქვეყანას გამჭვირვალედ დაფინანსებული ორგანიზაციები სჭირდება და არა სხვა ქვეყნების დიქტატი.



პარალელურად, “პატრიოტთა ალიანსის” მხარდამჭერი ირაკლი ჯანყარაშვილი (1, 2) წერდა, რომ არასამთავრობოებსა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს გამჭვირვალობის ეშინიათ და მხოლოდ გრანტების თვლით არიან დაინტერესებულნი.

არასამთავრობოები ებრძვიან ეკლესიას/მართლმადიდებლობას

როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლები და სახელისუფლებო მედიები, ასევე კრემლისტური "ალტ-ინფოსა" და კონკრეტული სასულიერო პირები არასამთავრობო ორგანიზაციებს ეკლესიასთან და მართლმადიდებლობასთან მებრძოლებად წარმოაჩენდნენ, რაც ფეისბუქზე დისკრედიტაციის კამპანიაშიც აისახებოდა.

> **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** „...ესეც ეკლესიის მაგინებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ [აქციაზე]...ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, აღვკვეთოთ ეკლესიის წინააღმდეგ პროპაგანდა და ყველა ის ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. სამწუხარო არის ის, რომ ამისათვის ისინი ბოროტად იყენებენ უცხოელების გადასახადის გადამხდელების თანხებს, ამაზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის და ასევე იმ ადამიანებისთვის, რომელთა თანხებიც იხარჯება ამ ყველაფერში".
>
> **გია აბაშიძე, ანალიტიკოსი:** ''ეს ყველა აქციების ორგანიზატორები არიან კომპრომიტირებული აქტივები დასავლეთისთვის, იმიტომ რომ ეს კოლექტიური სამნიძეები, პატარაიები და ა.შ..არ მინდა გამომრჩეს, სია გრძელია, ისინი როდესაც ლანძღავენ ქართულ ეკლესიას, ქართულ ღირებულებებს და ფასეულობებს, იმათ დაძახილზე თუნდაც არგუმენტირებული იყოს, არა მხოლოდ მათი ოპონენტები არ გადიან, არამედ ვხედავთ რომ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებიც არ გადიან''
>
> **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „დემოსნტრაციულად საპატრიარქოს კედელს მიაწერეს [„დიდება საქართველოს"]... ეს არის ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური ძალა, ლგბტ ძალა."
>
> **გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი:** "ის თანხები, რასაც გვაყვედრიან ჩვენი მოკავშირეები, რომ მილიონები იხარჯება, რაში იხარჯება? რომელ პროგრამას მოხმარებია სოფლის მეურნეობაში თუ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელიც წელში გამართავდა ამ ქვეყანას? ხმარდებათ ამ ჭინკებს, რომლებიც დარბიან და პედოფილიას, მამათმავლობას, დედათმავლობას, გახრწნილ ცხოვრებას ასწავლიან და ქართულ სულიერებას ებრძვიან. ამიტომ არის, რომ დღეს ყველაზე მეტი ბრძოლა ქართულ ეკლესიასთან დაიწყეს."

ანონიმურმა სახელისუფლებო ფეისბუკ გვერდებმა პოლიტიკური აბსურდი, სირცხვილის კორიდორი, სიმართლის დროა, პოლიტიკური სატირა / Political Satire ნინია კაკაბაძის, ხათუნა სამნიძისა და თამარ კორძაიას ფოტოების შემცველი ქარდი გამოაქვეყნეს, რომელსაც შემდეგი წარწერა ერთვოდა თან: "ეკლესიის მაგინებელი ჯაშუშების აქცია პარლამენტში - ამაში იღებენ ფულს". პროტესტის დისკრედიტაციის მიზნით, გვერდი ტერენტი გლდანელი ასევე ავრცელებდა ვიდეოს ხათუნა სამნიძისა და თამარ კორძაიას მონაწილეობით, რომლებშიც ისინი საპატრიარქოში არსებულ რუსულ გავლენებზე საუბრობდნენ.

ქარდი წარწერით “ ეკლესიის მაგინებელი ჯაშუშების აქცია პარლამენტთან” მოგვიანებით ანტილიბერალურმა ფეისბუქ გვერდმა [საქართველო უპირველეს ყოვლისა](#) ალექსანდრე ფალავანდიშვილის კომენტართან ერთად გამოაქვეყნა, რომელშიც ამჟამად ალტ-ინფოს გადაცემის წამყვანი წერდა, რომ ამ ადამიანებისთვის ბაზრის ქალებად მოხსენიება შეურაცხმყოფელია, რამდენადაც “ბაზრის ქალები” ამ ადამიანებისგან განსხვავებით, სამშობლოს არ ყიდიან.

ასევე, სახელისუფლებო სააგენტო [მარშალ პრესი](#) და ანტილიბერალური ფეისბუკ გვერდი [აკაურთას სიონის სამრევლო](#) რელიგიური თემით მანიპულირებდნენ და ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, აქციის დროს ევროკავშირის დროშის ფრიალით ჯვრის მოგლეჯვის მცდელობა დაფიქსირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 11 მარტს სახელისუფლებო POSTV-ის ჟურნალისტმა ნათია ბერიძემ და კონსერვატიული მოძრაობის ლიდერმა შოთა მარტინენკომ ქაშუეთის ტაძრის კედლის ამსახველი ფოტო გამოაქვეყნეს, რომლზედაც პულვერიზატორით შესრულებული წარწერა: წარწერა: “ღმერთო Help” იყო დატანილი. ნათია ბერიძე წერდა, რომ ევროპის ნაცვლად კომუნიზმი დაინახა, შოთა მარტინკოს აზრით კი “პროდასავლელობა ლიბერალობაა, ლიბერალობა კი ანტიქრისტიანული იდეოლოგია”.



არასამთავრობო ორგანიზაციები თავს გვახვევენ ჰომოსექსუალობას

კანონის უკან გაწვევიდან რამდენიმე დღეში, ანონიმურმა ანტიოპოზიციურმა ფეისბუკ გვერდებმა (ქართული ჟურნალისტიკის მარგალიტები/journalist fails, ტერენტი გლდანელი, არქივი - Archive) და ანტილიბერალურმა ფეისბუკ ანგარიშმა გოგონა ვარ გოგონა დაიწყეს იმ გზავნილის გავრცელება, რომლის თანახმადაც არასამთავრობო ორგანიზაციები ლგბტ(ქ) თემის დღის წესრიგის გავრცელებას ცდილობენ. ანონიმურმა ანტიოპოზიციურმა ფეისბუკ გვერდებმა (ტერენტი გლდანელი, პოლიტიკური რენტგენი) ზაზა ნოზაძის "სიმღერა არასამთავრობოებზე" გაავრცელეს, რომლის ბოლო ნაწილში ერთ-ერთი "ლიბერალი ზაზა" თავს ჰომოსექსუალთა დამცველად წარმოაჩენს და განსხვავებული აზრის მოსმენისთანავე აქციის მოწყობას აანონსებს. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური რენტგენის პოსტი დასპონსორებულია.



აქცია ძალადობრივი იყო

ხელისუფლების მხარდამჭერი ოფიციალური და ანონიმური ფეისბუკ გვერდების ერთ-ერთი გზავნლილი აქციის ძალადობრივად წარმოჩენას უკავშირდებოდა, რა დროსაც ძალადობის ამსახველი ცალკეული ეპიზოდების შერჩევითად გავრცელება ხდებოდა. მსგავს ვიზუალს შემდეგი პლატფორმები ავრცელებდნენ: PosTv-ანალიტიკა, მარშალ პრესი, არ გარევინებთ (1,2,3,4), აი უცნობი (1,2), Bidzina Ivanishvili for Georgia,რეალობა (1,2,3,4,5,6,7) , სიმართლის დროა, მიხეილ უკრაინოლოგი (1,2), ტერენტი გლდანელი(1,2,3,4, 5, 6, 7, 8).




არ აგარეკვინებთ
9 March at 01:40
ამათ უნდათ ევროპა?
0:12 / 0:20
Batu Gump and 248 others
173 comments 142 shares
Bidzina Ivanishvili for Georgia
7-8 მარტი
აქციის მონაწილეების ქმედებები
თბილისი
0:18 / 1:08
ტერენტი გლდანელი
9 March at 01:53
ბალახს რატო წვავ
01:48
362
90 comments 105 shares
მიხეილ ფაკაიწოლოგი
10 March at 10:23
ამას უწოდებენ მშვიდობიანს...
რა ხდებოდა აქციაზე
თბილისში 7-8 მარტს
126
37 comments 10 shares
ტერენტი გლდანელი
9 March at 03:04
ანალიზში არ შეგრჩებათ
0:06 / 0:09
636
105 comments 128 shares


ტერენტი გლდანელი
7 March at 23:29
პოლიციას მოლოტოვის კოქტეილი ესროლეს
383
55 comments 79 shares
ტერენტი გლდანელი
7 March at 20:57
სამართალდამცველებზე ძალადობის ამსახველი კადრები
ACTION PARLIAMENT
318
103 comments 61 shares
ტერენტი გლდანელი
8 March at 23:53
აქციის მონაწილეებმა პოლიციის მანქანა ამოატრიალეს
POLICE
369
84 comments 87 shares
ტერენტი გლდანელი
8 March at 00:47
გააზიარეთ!!! ძალადობის ამსახველი კადრები
489
65 comments 318 shares
ტერენტი გლდანელი
8 March at 01:32
აქციის მონაწილეებმა მანქანას ცეცხლი წაუკიდეს
183
25 comments 42 shares



პარლამენტთან გამართული აქციებს ძალადობრივად კრემლისტური “კონსერვატიულ მოძრაობის” თავმჯდომარე და პარტიასთან დაკავშირებული ანგარიშები (ალტ-ნიუსი, კონსერვატიული მოძრაობა ზუგდიდი, ზორო ესებუა, რამაზ ქათამაძე, Goga Tukhareli (1, 2), ჯაველიძე ჯაველიძე, ნინი ხუნდაძე, თათა მურაჩაშვილი, Lasha Mxatvrishvili, ლევან მჭედლიშვილი) აფასებდნენ.



პროტესტი მაიდნის მოწყობას და მეორე ფრონტის გახსნას ისახავდა მიზნად

საპროტესტო აქციებს დასავლეთის და ამერიკის პროვოცირებულად ცალკეული სახელისუფლებო და კრემლისტური აქტორები, ასევე ანონომური ფეისბუქ ანგარიშები აფასებდნენ. 7-9 მარტის საპროტესტო აქციები ასევე მანიპულაციურად იყო დაკავშირებული სახელმწიფო გადატრიალებისა და რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნის მცდელობასთან.

ვატო შაქარიშვილი, კონსერვატიული პლატფორმა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“: “ეს იყო მხარდაჭერილი და წაქეზებული ქვეყნის გარედან. მე უნდა შეგახსენოთ 7 მარტის საღამოს გაკეთებული განცხადება ამერიკის საელჩოს მხრიდან, რომელიც პირდაპირ რაღაცა ყოველგვარი დიპლომატიური წიაღსვლების და ანალიზის გარეშე იყო ხელშეწყობა და წახალისება პროცესების რადიკალიზაციისკენ და ამ განცხადებიდან სულ რაღაც 15-20 წუთში სწორედ მოხდა ვითარების დაძაბვა.”

გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა: ”ზემოთაც არის ყველაზე დიდი ინსტანცია, ვინც რეალურად მართავს ჩვენს ქვეყანაში პროცესებს, ვინც დგას სინამდვილეში ამ ყველაფრის უკან, მათ შორის ამ საშინელი სურათის, რაც ჩვენ ვიხილეთ ამ დღეებში პარლამენტის წინ, ეს არის რა თქმა უნდა შეერთებული შტატების პოლიტიკა და უშუალოდ მისი პოლიტიკის გამტარებელი ჩვენს ქვეყანაში აშშ-ს საელჩო.”

ზვიად ავალიანი, Postv-ის წამყვანი: „აქ ცუდი როლი, ყოველ შემთხვევაში კანონის წინააღმდეგ ალბათ ცუდი კი არა, მთავარი საწინააღმდეგო როლი ითამაშა ქალბატონმა დეგნანმა! ახლა ისეც არ გამოვიდეს, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავი გავაკრიტიკოთ და ჩვენი ქართველები ვინც თუნდაც იქ იდგა და არ დავინახოთ ის მხარდაჭერა კი არა, წაქეზება პირდაპირ, რაც მათ ჰქონდათ არა მხოლოდ კელი დეგნანისგან, არამედ ძალიან ბევრი საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირის მხრიდან დასავლეთში.”

ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი: „აშშ-მა და ბაიდენის ადმინისტრაციამ დასაჯა დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება, დასაჯა პრემიერ-მინისტრი, დასაჯა ბიძინა ივანიშვილი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მეორე ფრონტი არ გახსნა საქართველოში.”

შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა: “ამ დასავლეთის მონების დანდობა არ შეიძლება, პირდაპირი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა ამერიკის ორგანიზებით, პარლამენტზე შტურმს აწყობდნენ მოლოტოვის კოქტეილებით და ნაც რეჟიმის მობრუნებას და საქართველოს უკრაინიზაციას ცდილობდნენ. ახლა დაყოვნება და ერთი წუთი დაგვიანება არ შეიძლება, ეს რევოლუციის მცდელობა ბოლომდეა გადასატეხი.”

ზურაბ მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა: “კანონი ჰკიდია ყველას, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან დაქოქილია მაიდანის ტექნოლოგია. ეს არის სახელმწიფო ძალაუფლების ძალადობრივი დამხობის ტექნოლოგია.”

“მაიდანის” მოწყობისა და მეორე ფრონტის გახსნის მცდელობის შესახებ გზავნილებს ანონიმური ფეისბუკ ანგარიშებიც (რეალობა, სირცხვილის კორიდორი (1, 2), პოლიტიკური აბსურდი) და სახელისუფლებო ექსპერტებიც (ხათუნა ხოფერია) ავრცელებდნენ.



12 მარტს ფეისბუკ მომხმარებლები Tamaz Chikhladze, გია ბაინდურაშვილი და ტელეკომპანია “სეზონის” წამყვანი, ნიკოლოზ მჟავანაძე, ავრცელებდნენ სქრინს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ უკრაინიდან ჩამოსული “ნაციონალური მოძრაობის” წევრები გადატრიალების მოწყობასა და მეორე ფრონტის გახსნას გეგმავდნენ. ყალბ ინფორმაციას, უკრაინელი პროვოკატორების შესახებ, რომლებსაც მოლოტოვის კოქტეილები ჰქონდათ და არეულობის მოწყობაში იყვნენ ჩართულები გადაცემაში დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან სტუმარი, პაატა აბულაძე ავრცელებდა. რეალურად, ფოტოზე “აიპ ექსტრემალური მედიცინის ცენტრის” ქართველი მოხალისეები იყვნენ, რომლებიც აქციაზე დაშავებულებს სამედიცინო დახმარებას უწევდნენ.

10 მარტს ფეისბუკ გვერდი “რეალობა” (1, 2) წერდა, რომ საქართველოში დემონსტაციებზე განვითარებული მოვლენები ამერიკელების მიერ დადგმული რევოლუციური სცენარი იყო, რომელიც “ნაც-რადიკალებმა” 2022 წლის აპრილში დევიდ აკერმანთან ერთად შეიმუშავეს. ასევე, “მარშალ პრესის” რედაქტორმა ოთო სტეფანიშვილმა გამოაქვეყნა ქარდი, რომელზედაც

კელი დეგნანი სალომე ზურაბიშვილს მაიდანის მოწყობას სთხოვს.



კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერი ფეისბუკ ანგარიშები [შიინ ევროპისკენ](), [გია ბაინდურაშვილი]() ამტკიცებდნენ, რომ მაიდნისა და გადატრიალების მოწყობას საქართველოში აშშ გეგმავს და მაშინ, როცა აქციას ამერიკის შეერთებული შტატები აორგანიზებს, მოლოტოვის კოქტეილიც კი "მშვიდობიანი" შეიძლება აღმოჩნდეს.



პროსახელისუფლებო და ანტიოპოზიციური ფეისბუკ გვერდები [მიხეილ უკრაინოლოგი](), [პოლიტიკური აბსურდი](), [პოლიტიკური რენტგენი / Political X-ray](), [რეალობა](), [ტერენტი გლდანელი](), [არ აგარევინებთ](), [POSTV-ანალიტიკა](), ანტილიბერალური ფეისბუკ

გვერდი დედაქალაქი ავრცელებდნენ “რუსთავი 2” მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოს, რომელშიც თითქოს აკია ბარბაქაძე, გედევან ფოფხაძე და გიგა მაქარაშვილი ფარულ ჩანაწერში შენობის აღებას და “მაიდანის მოწყობას” გეგმავდნენ. იდენტური ვიდეო გაავრცელა კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებულმა გვერდმაც კონსერვატიული მოძრაობა რუსთავი.



ასევე, 10 მარტს ფეისბუკ გვერდები ტერენტი გლდანელი, პოლიტიკური სატირა, პოლიტიკური აბსურდი ავრცელებდნენ ფარულად გადაღებულ მეორე ვიდეოს, რომელშიც თითქოს სერგი კაპანაძე და გედევან ფოფხაძე დავალების მიღების, მწვანე შუქის ანთების მოლოდინში იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ “ხალხის ძალის” მიერ ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებული პროტესტის ორგანიზატორებად კრემლის პროპაგანდისტული მედიები “რადიკალურ ოპოზიციას” წარმოაჩენენ და მის უკან აშშ-ის ინტერესებს ხედავენ. “კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის” დამფუძნებელმა, შოთა აფხაიძემ რუსულ მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ კანონის გაწვევის მიუხედავად, აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ ეს აშშ-ს სურს და ბოლო დროს საქართველოში აქტიურად მუშაობს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურიც. ასევე, შოთა აფხაიძემ გამოცემასთან “საქართველო და მსოფლიო” ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსები საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ემოციურად უყურებენ, რადგან იციან, რომ, თუ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდება, მეორე ფრონტის იდეაც ამუშავდება. პარალელურად გაზეთ ასავალ-დასავალში (13-19 მარტი) გიგლა ბარამიძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელმაც თქვა, რომ ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს რესურსი, არ დაუშვას ჯაშუშების რევოლუცია.

10 მარტს ფეისბუკ გვერდმა ᲣᲘᲯᲒᲬᲣᲘᲯᲘ - Direct ღონისძიება სახელწოდებით “ერთად უცხო ძალების წინააღმდეგ” შექმნა. ღონისძიების აღწერაში ვკითხულობთ, 17 მარტს აშშ-ის საელჩოსთან ის ადამიანები უნდა შეიკრიბონ, ვინც ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და სახელმწიფო საქართველოს შიდა საქმეებში არ უნდა ერეოდნენ. ღონისძიების მოთხოვნებია საქართველოს მთავრობამ გააძევოს საქართველოდან აშშ-ის ელჩი და გაწყდეს დიპლომატიური კავშირი აშშ-ის მთავრობასთან, რომელიც “ცდილობს საქართველოში წაახალისოს დარბევები, სისხლისღვრა და ყოველივე ქვეყნის საწინააღმდეგო საქმე”. ღონისძიების აღწერაში ნათქვამია ისიც, რომ აქციაზე იქნება ბევრი სირთულე, რის გამოც მონაწილეები მომზადებულები უნდა მივიდნენ. ამავე გვერდმა 9 მარტს კიდევ ერთი ღონისძიება სახელწოდებით “კანონის მომხრე ეროვნული ხალხი” შექმნა, რომელიც 11 მარტს საქართველოს პარლამენტთან უნდა გამართულიყო.



ფეისბუკ გვერდი ᲣᲘᲯᲒᲬᲣᲘᲯᲘ - Direct (პირდაპირი) 2021 წლის 9 იანვარს არის შექმნილი და მასზე ორი ღონისძიების გარდა მხოლოდ ერთი პოსტი გვხვდება გამოქვეყნებული. პოსტში ნათქვამია, რომ დიტო სამხარაძეა ის ერთადერთი პარლამენტარი, რომელმაც სახელმწიფოს ინტერესები ბოლომდე დაიცვა. გვერდის მიერ შექმნილი ორივე ღონისძიება გაზიარებული აქვს ფეისბუკ გვერდს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები. პოსტებში აღნიშნულია, რომ არავის არ აქვს უფლება საქართველოში დაგეგმოს და განახორციელოს ისეთი ანტისახემწიფოებრივი ქმედებები, როგორც 7-8 მარტს მოხდა, მათ შორის არც ამერიკის ელჩს და აშშ-ის მთავრობას. ფეისბუკ გვერდი “საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები” არაოფიციალური გვერდია, თუმცა მასზე პოსტები გვერდებიდან: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო / Ministry of Defence of Georgia , საქართველოს მთავრობა ვრცელდება.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲪ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲔᲜᲔᲜ

როგორც სახელისუფლებო აქტორების, ასევე კრემლისტური და ულტრამემარჯვენე ჯგუფების გზავნილი იყო, რომ რეალურად კანონი არა რუსულის კალკია, არამედ დასავლეთში აპრობირებული პრაქტიკაა და ის მოქმედებს როგორც ამერიკაში, ასევე მის მიღებას გეგმავენ კანადა და ევროკავშირი.

- აღნიშნულ გზავნილს შემდეგი სახელისუფლებო აქტორები და ფეისბუქ ანგარიშები აქვეყნებდნენ: ოთარ ქულუხაძე, დავით თორდია, Davit Osepashvili, რეალობა, ლიდერი 41
- კრემლისტური და ანტილიბერალური ანგარიშები: ნინი ხუნდაძე, ფანტ ინა მე თამარაშნელი ვარ, კონსერვატიული მოძრაობა რუსთავში, Punisher , Thornike Pkhaladze, Nutsa Javelidze Ermile Nemsadze


ევროპის სახალხო პარტია: ევროკავშირმა ლობისტური საქმიანობის შესახებ ამერიკული გამჭვირვალობ
geo-first.com
GEO-FIRST.COM
კანადის მთავრობა აპირებს შემოიღოს სარეგისტრაციო სისტემა, რომელიც ქვეყნის შიდა საქმეებში უცხოური გავლენის ჩარევის პრევენციას მოემსახურება
დღეს, 11:37
63
ეროპის სახალხო პარტიის ლიდერმა ალბერტ ბოჩორიშვილმა ევროპარლამენტში ანტიდასავლური ბანდა ბოროტებად მოიხსენიეს ოპოზიციური ძალები
ეროვნული ინტერესი



12 მარტს საქართველოში კანადის საკონსულოსთან ახალგაზრდების ჯგუფმა აქცია-პერფორმანსი მოაწყო. პერფორმანსის მონაწილეებს სახეზე ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების ნიღბები ეკეთათ და აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ კანადაში “რუსული კანონის” მიღებას. 13 მარტს ასეთივე აქცია-პერფორმანსი ბრიტანეთის საელჩოსთანაც გაიმართა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, ისინი აპროტესტებდნენ ლორდთა პალატაში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის განხილვას. 15 და 16 მარტს ასეთივე აქცია გაიმართა ისრაელის და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებთან.



მიზანმიმართული დისკრედიტაციის კამპანიები

2-12 მარტის პერიოდში სოციალურ ქსელში აქციის მონაწილეების, ორგანიზატორების, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ყოფილი სახალხო დამცველისა და მისი მოადგილის წინააღმდეგ არაერთი გზავნილი გავრცელდა. ფეისბუკ გვერდები ამტკიცებდნენ, რომ აქცია არ იყო დამოუკიდებელი და პოლიტიკური ძალებისგან იმართებოდა, რომ აქციის მონაწილეები ვერ მეტყველებდნენ, კანონი წაკითხული არ აქვთ, არასამთავრობოების დამცველებს საკუთარი ქვეყანა არ უყვართ და უცხო ქვეყნის დროშას ეთაყვანებიან.
ფეისბუკ გვერდები მიხეილ უკრაინოლოგი, ტერენტი გლდანელი (1, 2, 3, პოლიტიკური აბსურდი, სირცხვილის კორიდორი, Postv-ანალიტიკა, POSTV- ახალი ამბები ამტკიცებდნენ, რომ დემონსტრაციაზე მყოფი ადამიანები წარსულში ოპოზიციურ პარტიებს წარმოადგენდნენ, რომ აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება იყო.
აღსანიშნავია, რომ ფეისბუკ გვერდებმა POSTV-ანალიტიკა(21:40), ტერენტი გლდანელი (21:43) და პოლიტიკური აბსურდი (21:55) იდენტური ვიზუალის პოსტები, რამდენიმე წუთიანი ინტერვალით, თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოაქვეყნეს.
ასევე, ერთმანეთს ემთხვეოდა ტერენტი გლდანელისა(22:03) და სირცხვილის კორიდორის(22:00) მიერ გამოქვეყნებული ქარდები წარწერით "აქციის სადავეები და ტრიბუნა ნაციონალებმა დაისაკუთრეს."



ფეისბუკ გვერდების დიდი ნაწილი აქციის მონაწილე ახალგაზრდების დისკრედიტაციას ეწეოდა. 7 მარტის აქციაზე, ერთ-ერთმა გამომსვლელმა "მაშასადამეს" ნაცვლად "ამასადამე" თქვა, რაც ფეისბუკ გვერდებისთვის არ აგარევინებთ, მიხეილ

უკრაინოლოგი, ტერენტი გლდანელი, პოლიტიკური აბსურდი დაცინვის საბაბი გახდა. ასევე, გვერდმა ტერენტი გლდანელი (1,2,3,4) არაერთი ვიდეო გაავრცელა, რომელშიც სხვადასხვა დროს გადაღებული აქციის ახალგაზრდა მონაწილეები ჩანან.



ფეისბუკ გვერდების ნაწილმა (ტერენტი გლდანელი, პოლიტიკური რენტგენი / Political X-ray) გამომწერებს შემდეგი შეკითხვა დაუსვა: თქვენი აზრით, აქციის მონაწილეთა რამდენ პროცენტს აქვს წაკითხული კანონი? აღსანიშნავია, რომ ამ გვერდებმაც ქარდებები 8 მარტს თითქმის ერთსა და იმავე დროს 15 საათსა და 34 და 15 საათსა და 33 წუთზე გამოაქვეყნეს. მსგავსი შინაარსის პოსტი კანონთან ერთად რამდენიმე წუთით ადრე გავრცელდა ფეისბუკ გვერდზე სიმართლის დროა.



აქციის მონაწილეების დისკრედიტაციის მიზნით ფეისბუკ გვერდები ტერენტი გლდანელი, პოლიტიკური აბსურდი წერდნენ, რომ ერთ-ერთმა ახალგაზრდამ სამართალდამცავს ფეხქვეშ დროშა გაუფინა, რის შემდეგაც სამართალდამცავმა საქართველოს დროშას აკოცა, “არასამთავრობოების დამცველმა” კი - უცხო ქვეყნის დროშას. ამ მომენტის ამსახველი ვიდეო ფეისბუკ გვერდებმა POSTV- ანალიტიკა, ლიდერი 41, Bidzina Ivanishvili for Georgia გაავრცელეს. “ლიდერი 41” წერდა, რომ ამ კადრებიდან კარგად ჩანს, თუ ვის უყვარს საქართველო და ვინ არიან ნამდვილი პატრიოტები.

ჟურნალისტების დისკრედიტაცია

ფეისბუკ გვერდების ნაწილი რეალობა, ტერენტი გლდანელი ჟურნალისტების დისკრედიტაციაში ჩაერთო. ფეისბუკ გვერდი რეალობა ინგა გრიგოლიას ტანკს უწოდებდა. ტერენტი გლდანელის პოსტის თანახმად, ნინო ზურიაშვილმა ეზოში წალენჯიხის მერთან ერთად დალია. ფეისბუკ გვერდი ჩემი საქართველო აქ არის ქსენოფობიურ განწყობებს აღვივებდა და წერდა, ქვეყნის გადაგვარებას ოსი ეროვნების გვარგადაკეთებული რუსეთის აგენტი ნოდარ მელაძე ახორციელებს, რომელის ნამდვილი გვარი "დრიაევი" არის. სინდისისგან თავისუფალი მედია აქციაზე მისულ სტუდენტებსა და ჟურნალისტებს აკრიტიკებდა და პროფესიონალიზმს უწუნებდა.

10 მარტს ფეისბუკ გვერდმა ჟურნალისტების მარგალიტები თეონა ცხომელიძის აქციაზე გამოსვლის ამსახველი ვიდეო აღწერით “ ნაციონალური მოძრაობის ზონდერ-ჟურნალისტი გაავრცელა. ამავე გვერდმა გაავრცელა “მთავარი არხის პროდუსერის, თეონა გილიგაშვილის პოსტის სქრინი და წერდა, რომ “მთავარი არხის” ზონდერ-უფროსი, თეონა გილიგაშვილი ფაშისტის სახელის დარქმევამ შეაწუხა. კანონპროექტის გაკრიტიკების გამო ჟურნალისტების მარგალიტები-ის სამიზნე პირველი არხის ჟურნალისტი დათო გორგილაძეც გახდა. გვერდმა გორგილაძის ორი ფოტო წარწერით “ბებიასთან სტუმრობამდე და სტუმრობის შემდეგ გამოაქვეყნა. “საქართველოს მოღალატეთა კავშირი” და ამათ დაკრულზე ნუ ცეკვავ საქართველო” - ამ ტექსტებით გამოაქვეყნა ფეისბუკ ანგარიშმა ერთობა საქართველოსთვის (1, 2) ჟურნალისტების ამსახველი ფოტოკოლაჟი.

ყოფილი სახალხო დამცველისა და მისი მოადგილის დისკრედიტაცია

ანტიოპოზიცური (პოლიტიკური სამარე N5, ტერენტი გლდანელი(1,2) პროსახეხლისუფლებო (არ აგარევინებთ, POSTV - ანალიტიკა და ანტილიბერალური (ირონიული) გვერდების სამიზნე 2-12 მარტის პერიოდში სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე და ყოფილი სახელხო დამცველი, ნინო ლომჯარია გახდნენ. კრიტიკის საგანი ბურჯანაძის მიერ გაკეთებული

განცხადება გახდა, რომელშიც ვროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო პირობების შესრულებაზე საუბრობს. ასევე, ანტიოპოზიციურმა ფეისბუკ გვერდებმა სირცხვილის კორიდორი (1,2) და სიმართლის დროა ქარდები გამოაქვეყნეს, სადაც ნინო ლომჯარიასა და გიორგი ბურჯანაძის ფოტოებზე წარწერა “უცხოური გავლენის აგენტი” არის დატანილი.





დისკრედიტაციის კამპანია პოლიტიკოსების წინააღმდეგ

კანონის პროტესტის პარალელურად, სხვადასხვა ფეისბუკ გვერდი კონკრეტული პოლიტიკოსების შესახებ დამცინავ და შეურაცხმყოფელ პოსტებს ავრცელებდა. ფეისბუკ გვერდების სამიზნე პოლიტიკოსები: ელენე ხოშტარია, ანა წითლიძე, ლევან ხაბეიშვილი, ხათუნა სამნიძე, თამარ კორძაია, ზურაბ ჯაფარიძე და წალენჯიხის მერი, გია ხარჩილავა გახდნენ. ფეისბუკ გვერდმა ტერენტი გლდანელი (1,2,3,4) ლევან ხაბეიშვილის, ელენე ხოშტარიასა და გია ხარჩილავას გამოსახულებით არაერთი ქარდი გაავრცელა. ხოშტარიას ფოტო, რომელსაც ხელში უჭირავს ბანერი წარწერით" ფულს ვაგროვებ დასალევად" ასევე ფეისბუკ გვერდზე პოლიტიკური სამარე N5 გავრცელდა. მას შემდეგ რაც პარლამენტმა კანონი უკან გაიწვია, ფეისბუკ გვერდმა სირცხვილის კორიდორი პროგრამულად დამუშავებული ფოტო გამოაქვეყნა, რომელშიც ნაციონალური მოძრაობის წევრს, ანა წითლიძეს საკუთარი თავის კაცი ვერსიის ფოტოსურათი უჭირავს.



სოციალურ ქსელში 2-12 მარტის პერიოდში, ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების რეჟიმების შედარებისთვის ზურაბ ჯაფარიძისა და სხვა ნაცემი პოლიტიკოსების კადრების კოლაჟი გამოქვეყნდა. სახელისუფლებო მედია POSTV- ანალიტიკა და სხვა ფეისბუკ ანგარიშები (1, 2, 3) ჯგუფში წინ საქარათველო უკეთესი მომავლისაკენ !!! წერდნენ, რომ ჯაფარიძე "საკმარისად" ნაცემი არ იყო.

დისკრედიტაციის სამიზნეს წარმოადგენდა კანონპროექტთან დაკავშირებით ხათუნა სამნიძისა და თამარ კორძაიას საპარლამენტო გამოსვლებიც, რასაც “კონსერვატიულ მოძრაობასთან” დაკავშირებული ტელევიზიის “ალტ-ინფოს” ეთერში ანტიფემინისტური შეფასებები მოჰყვა. ალტ-ინფოს ეთერში აღნიშნეს, რომ უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის განხილვას პარლამენტში “პროდასავლელი, სახედაკარგული ქალების ისტერიკა” იყო სახეზე; კადრები, რომელშიც ხათუნა სამნიძე სამოქალაქო ფორმებში ჩაცმული პირს კარიდან გვერდით სწევს როგორც “ალტ-ინფოს” ასევე, კონსერვატიული მოძრაობის ერთ-ერთერთი ლიდერის შოთა მარტინენკოს ფეისბუკ გვერდებზე შემდეგი აღწერით გავრცელდა: “სამნიძის ჭიდაობა სუსის თანამშრომელთან - კვოტირებული ქალი დეპუტატის ისტერიკა.”

დასპონსორებული დისკრედიტაციის კამპანია

აღსანიშნავია, რომ ფეისბუკ გვერდებს პოლიტიკური რენტგენი / Political X-ray, პოლიტიკური აბსურდი, პოლიტიკური სატირა, არ აგარევინებთ პოსტები დაპოსნსორებული აქვთ. პოლიტიკური რენტგენი / Political X-ray-ის დაფინანსებულ პოსტში თანხის გადამხდელად Davit Gureshidze არის მითითებული. რაც შეეხება “პოლიტიკურ აბსურდს”, გვერდზე გამოქვეყნებული 13 პოსტია დასპონსორეული, თანხის გადამხდელად Ramaz Beridze არის მითითებული. აღსანიშნავია, რომ ოპონენტების მადისკრედიტირებელი პოსტები დასპონსორბული იყო ფეისბუკ გვერდზე POSTV -ანალიტიკა.


Inactive
Platforms
Categories
Estimated audience size: >1M
Amount spent (USD): <$100
See ad details
პოლიტიკური რეტინგები / Political X-ray
Sponsored · Paid for by Davit Gureshidze
See summary details
2 ads use this creative and text
პოლიტიკური ანალიზი
Sponsored · Paid for by Ramaz Beridze
See ad details
Inactive
Platforms
Categories
Estimated audience size: >1M
Amount spent (USD): <$100
See ad details
პოლიტიკური სატირა / Political Satire
Sponsored · Paid for by პოლიტიკური სატირა / Political Satire
See ad details
Inactive
Platforms
Categories
Estimated audience size: >1M
Amount spent (USD): <$100
See ad details
POSTV - ანალიზი
Sponsored · Paid for by POSTV LLC
See ad details
Inactive
Platforms
Categories
Estimated audience size: >1M
Amount spent (USD): <$100
See ad details
POSTV - ანალიზი
Sponsored · Paid for by POSTV LLC
See ad details
Inactive
Platforms
Categories
Estimated audience size: 100K-500K
Amount spent (USD): <$100
See ad details
POSTV - ანალიზი
Sponsored · Paid for by POSTV LLC

Inactive

8 Mar 2023 - 10 Mar 2023

Platforms

Categories

Estimated audience size: >1M

Amount spent (USD): <$100

Impressions: 30K-35K

ID: 605594564332004

See ad details

POSTV - ანალიტიკა

Sponsored · Paid for by POSTV LLC

Inactive

8 Mar 2023 - 10 Mar 2023

Platforms

Categories

Estimated audience size: >1M

Amount spent (USD): <$100

Impressions: 20K-25K

ID: 231070882652683

See ad details

POSTV - ანალიტიკა

Sponsored · Paid for by POSTV LLC

Inactive

10 Mar 2023 - 11 Mar 2023

Platforms

Categories

Estimated audience size: >1M

Amount spent (USD): <$100

Impressions: 15K-20K

ID: 873361280621467

See ad details

არ აგარეგანიები

Sponsored · Paid for by არ აგარეგანიები

Inactive

8 Mar 2023 - 10 Mar 2023

Platforms

Categories

Estimated audience size: >1M

Amount spent (USD): <$100

Impressions: 15K-20K

ID: 1205581236749115

See ad details

არ აგარეგანიები

Sponsored · Paid for by არ აგარეგანიები

ანონიმური ანგარიშები პროტესტის წინააღმდეგ

“მითების დეტექტორმა” პროტესტის დისკრედიტაციაში ჩართული 27 ყალბი ანგარიში გამოავლინა. მათგან 20 სხვა ადამიანის იდენტობას იპარავს, 7 კი მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას მალავს. 14 ყალბი ანგარიში, რომლებიც “ქართული ოცნების” ოპონენტებისა და უკრაინის ხელისუფლების დისკრედიტაციის კამპანიებში წარსულშიც იყო ჩართული, საპროტესტო აქციებისა და პროტესტში მონაწილე პირების დისკრედიტაციის მიზნით, პოსტებს კოორდინირებულად ავრცელებდა.

8-10 მარტის პერიოდში ანონიმური ანგარიშები ორგანიზებულად ავრცელებდნენ აქციებთან დაკავშირებულ 3 პოსტს, რომელიც შემდეგ გზავნილებს შეიცავდა:

1. **აქციები მეორე ფრონტის მომხრეების მიერაა მართული.** 8 მარტს “ქართული ოცნების” ყოფილმა დეპუტატმა, ალექსანდრე თამაზაშვილმა ფეისბუქის პირად ანგარიშზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც წერდა, რომ აქციები მეორე ფრონტის მომხრეების მიერ იმართება, რაც საქართველოს ევროპასთან აშორებს და ოკუპაციასთან აახლოებს. აღნიშნული პოსტი 10 ანონიმურმა ანგარიშმა კოორდინირებულად გაავრცელა.
2. **იგეგმება პარლამენტის შენობის აღება.** 9 მარტს სოციალურ ქსელში გავრცელდა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ. ვიდეოში ჩანს გიგა მაქარაშვილიც. აღნიშნული ვიდეო “რუსთავი 2”-ის ფეისბუკ გვერდიდან რვა ანონიმურმა ფეისბუკ ანგარიშმა კოორდინირებულად გაავრცელა. ყალბი ანგარიშები წერდნენ, რომ რადიკალების ჯგუფს, რომლებსაც მშვიდობიან მომიტინგეებად მოიხსენიებენ, პარლამენტის შენობაში შეღწევა და მისი აღება ჰქონდათ განზრახული.
3. **ნაციონალური მოძრაობა ახალგაზრდებს გადატრიალებისთვის იყენებს.** 8 მარტს სოციალურ ქსელში გავრცელდა Whatsapp-ის სქრინი, რომელიც პოსტის ავტორთა მტკიცებით, ვანო მერაბიშვილისა და ლევან ხაბეიშვილის მიმოწერას ასახავს. შვიდმა ანონიმურმა ანგარიშმა სქრინი პირად ანგარიშზე ატვირთა. პოსტის ავტორები წერდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობა გადატრიალებისთვის ემზადება, რაშიც ახალგაზრდების გამოყენება სურს.



გარკვეულ შემთხვევებში, ანონიმური ანგარიშები აქციის მადისკრედიტირებელ პოსტებზე კომენტარებშიც აქტიურობდნენ. მაგალითად, 10 მარტს ფეისბუკ გვერდმა Bidzina Ivanishvili for Georgia გამოაქვეყნა 1:08 წუთიანი ვიდეო, რომელშიც ჟურნალისტი მოლოტოვის კოქტეილის გამოყენებაზე საუბრობს და ცალკეული ძალადობრივი სცენები ფრაგმენტულად არის შერჩეული. ვიდეოს დართული აქვს აღწერა “7-8 მარტი, აქციის მონაწილეების ქმედებები”. აღნიშნული პოსტი ორმა ანონიმურმა ანგარიშმა პირად გვერდზე გააზიარა. 6 ყალბი ანგარიში კი ამავე პოსტის კომენტარებში წერდა, რომ ეს აქცია მშვიდობიანი არ იყო; პროტესტის მონაწილე პირები, ვინც კანონის ჩარჩოებს გასცდა, სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ და ეს პროტესტი ნაციონალური მოძრაობის მიერ ქვეყნის არევის კიდევ ერთი მცდელობა იყო, რომელსაც ბრბოს ასრულებინებდა.



ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტის გავრცელება	რუსთავი 2-ის ვიდეო: აკია ბარბაქაძის, გიგა მაქარაშვილის და გედი ფოფხაძის საუბარის ფარული ჩანაწერის გავრცელება	ხაბეიშვილის და მერაბიშვილის მიმოწერის გავრცელება	Bidzina Ivanishvili For Georgia - 7-8 მარტი აქციის მონაწილეების ქმედებები
Iko Gigiberidze ზაზა სვანაძე გეგა ლაშხი ია მაისურაძე Shota Rukhadze Mari Loladze Tamta Tsanava Tinatin Asanidze Nino Maisuradze Madona Kapanadze Nini Lomjaria	Iko Gigiberidze ზაზა სვანაძე გეგა ლაშხი ია მაისურაძე Shota Rukhadze Madona Kapanadze Tamta Tsanava Luka Natroshvili	ზაზა სვანაძე გეგა ლაშხი ია მაისურაძე Mari Loladze Nino Maisuradze Olga Khurcidze Madona Kapanadze	Nino Maisuradze Tamta Tsanava Manchi Nebieridze Madona Kapanadze Iko Gigiberidze Nene Beridze



ანონიმური ანგარიშები და მათი ჩართულობა დისკრედიტაციის სხვა კამპანიებში

13 ახლადგამოვლენილი ანონიმური ფეისბუკ ანგარიშიდან 6 სხვა ადამიანების იდენტობას იპარავს, 7 კი მალავს. ყალბი ანგარიშები გარდა პირად გვერდზე გამომქვეყნებული პოსტებისა, კომენტარებს ტოვებდნენ მედიების (პუბლიკა, ინტერპრესნიუსი, რადიო თავისუფლება), "სირცხვილის კორიდორი" და ოპოზიციონერი პარლამენტარის ხათუნა სამნიძის პოსტების კომენტარებში. ერთ-ერთი ყალბი ანგარიში, რომელიც პარალელურად ფეისბუკ ჯგუფს გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა! მართავს, ავრცელებდა პოსტს, რომელშიც წერდა, რომ იდენტური კანონის მიღებას კანადა, ისრაელი და ევროპის რამდენიმე ქვეყანა გეგმავს.

FB ანგარიში	ყალბი იდენტობა	ჩართულობა დისკრედიტაციის კამპანიაში
1. Zviad Natroshvili  	იპარავს ფოტოგრაფ _robbie_-ს მიერ 2017 წელს გადაღებულ ფოტოებს. მოწონებული აქვს ფეისბუკ გვერდი პოლიტიკური აბსურდი. აზიარებს დიმიტრი სამხარაძის პოსტებს.  	პირად პროფილზე გამოქვეყნებული აქვს ყოფილი ომბუდსმენის ნინო ლომჯარიას, პოლიტიკოსების (ლევან ბერძენიშვილის, დავით ბერძენიშვილის, ხათუნა სამნიძის), აქტივისტების და NGO-ების წარმომადგენლების (სერგი კაპანაძის, გიგა მაქარაშვილის, ზუკა ბერძენიშვილის, გიორგი მშვენიერაძის, ეკა გიგაური) ფოტოები, ტექსტით "უცხოური გავლენის აგენტი". 

2.Ellena MoDebadze 	იპარავს ბლოგერ bellelongwell-ის იდენტობას. 	კომენტარში წერდა, რომ პროტესტის მონაწილეები ქალაქს ვანდალურად მოექცნენ და ისინი არა ევროპის, არამედ სოფლის ორღობის ღირსები არიან.  Ellena MoDebadze იმ ხალხის დებილ ტვინში ჩამახედა, ვინც ქალაქს ასე ვანდალურად მოექცა და იძახით როორ დაიჭირესო? ნორმალური ხალხი, გავიდა, გააპროტესტა და სახლში დაბრუნდა! ეგეც ვერ გაგიგიათ რომ ყველაფერი ხალხის ფულითაა გაკეთებული და ნაყიდი! რა ევროპა! თქვე ორღობის გაუნათლებელო ბრბო! Like Reply 9 h
3. Alex Korinteli  	იპარავს დუბაიში მცხოვრები მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტის, Khalid Jamal-ისიდენტობას. აზიარებს ფეისბუკ გვერდის არ აგარევინებთ პოსტს. მოწონებული აქვს POSTV - ანალიტიკა. 	“სირცხვილის კორიდორის” მიერ გავრცელებულ ქარდზე, რომელზედაც სახალხო დამცველის მოადგილის გიორგი ბურჯანაძის ფოტოს “უცხოეთის გავლენის აგენტი” ეწერა, კომენტარებში უცენზურო გინება მიუწერა.  Alex Korinteli ამის დედის [redacted] ყველამ Like Reply 15 h

4. [მაგდა მაგდა] 	იპარავს აზერბაიჯანელი მოდელის [Mahbuba Mammadzada-ს] იდენტობას. აზიარებს პოსტებს გვერდებიდან: [საქართველოს მთავრობა], [POSTV - ანალიტიკა], [TV Imedi]. 	დატოვა კომენტარი ოპოზიციონერი პარლამენტარის ხათუნა სამნიძის [პოსტზე]. 
5. [Madona Kapanadze]  	იპარავს [სამოტივაციო სპიკერის], [სილვია ფრიდმანის] იდენტობას, მოწონებული აქვს გვერდები: [სიკვდილის პარტია], [TV Imedi], [Irakli Lataria • ირაკლი ლატარია.] 	გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის [პოსტი], რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. დატოვა კომენტარი Bidzina Ivanishvili for Georgia [ვიდეო]-ზე, რომელშიც წერდა, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის კიდევ ერთი მცდელობა ქვეყნის ასარებად, რასაც ბრბოს ასრულებინებდა. 
6. [Rusudan Rusikoshka]  	მართავს ფეისბუკ-ჯგუფს [გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა!]. **იპარავს LightField Studios Inc.**-ის მიერ გადაღებულ ფოტოს, რომლებიც alamy.com-ზეც არის [გამოქვეყნებული]. აზიარებს პოსტებს შემდეგი გვერდებიდან: [ტერენტი გლდანელი],[საქართველოს მთავრობა], [მიხეილ უკრაინოლოგი] 	ანგარიში [წერდა], რომ აგენტების კანონის მიღებას კანადის გარდა ისრაელი და კიდევ ევროპის რამოდენიმე ქვეყანა აპირებს.

ყალბი ანგარიშები, რომელებიც იდენტობას მალავენ

1. ტიან შანი
2. Otakokav Ekeabas
3. Kind Zaza
4. Sio Kwa Nats
5. Darius Cherniski
6. John Wick Battleground
7. იორამ იორამ

ყალბი ანგარიშები, რომლებიც იდენტობას მალავენ, კომენტარებს ტოვებდნენ მედიებს (პუბლიკა, ინტერპრესნიუსი, და რადიო თავისუფლება) გავრცელებულ სიახლეებზე. ანგარიშები წერდნენ, რომ აქცია ძალადობრივი იყო, სწორედ ამიტომ დაშალა ის პოლიციამ:



აკრიტიკებდნენ უცხოეთის აგენტების კანონის შესახებ ესტონეთის საგარეო სამინისტროს განცხადებას:



გმობდნენ აშშ-ის საელჩოს მოწოდებას "ქართული ოცნების" მიმართ კანონპროექტის უარყოფის შესახებ.



შეურაცხმყოფელი კომენტარებით მოიხსეიებდნენ ყოფილ სახალხო დამცველს ნინო ლომჯარიას:

აკრიტიკებდნენ შოთა არველაძეს კანონპროექტის შესახებ გაკეთებული განცხადების გამო.



ადრე გამოვლენილი ტროლები, რომლებიც სხვის იდენტობას იპარავენ

“მითების დეტექტორის” მიერ გამოვლენილი 27 ყალბი ანგარიშიდან 14 ანგარიში “ქართული ოცნების” ოპონენტებისა და უკრაინის ხელისუფლების დისკრედიტაციის კამპანიებში წარსულშიც იყო ჩართული. მათგან 6 ყალბი Bidzina Ivanishvili for Georgia ვიდეო-ს კომენტარებში წერდა, რომ ეს აქცია მშვიდობიანი არ იყო; პროტესტის მონაწილე პირები, ვინც კანონის ჩარჩოებს გასცდა, სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ და ეს პროტესტი ნაციონალური მოძრაობის მიერ ქვეყნის არევის კიდევ ერთი მცდელობა იყო, რომელსაც ბრბოს ასრულებინებდა. 10 ყალბი ანგარიში აზიარებდა “ქართული ოცნების” ყოფილმა დეპუტატის, ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტს, 7 ანონიმური ანგარიში ავრცელებდა Whatsapp-ის სქრინს, რომელიც პოსტის ავტორთა მტკიცებით, ვანო მერაბიშვილისა და ლევან ხაბეიშვილის მიმოწერას ასახავდა; 8 ყალბი ფეისბუკ ანგარიში ავრცელებდა ფარულად გადაღებულ ვიდეოს, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ.

FB ანგარიში	ყალბი იდენტობა	ჩართულობა დისკრედიტაციის ძველ კამპანიებში და მათ მიერ დატოვებული კომენტარები
1. Manchi Nebieridze	პროფილზე იყენებს ცნობილი ამერიკელი მოდელის, ქენდალ ჯენერის ფოტოებს. აზიარებს ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერ პოსტებს. მოწონებული აქვს გვერდები: POSTV - ანალიტიკა, POSTV - ახალი ამბები.	ჩართული იყო მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიებში. დატოვა კომენტარი Bidzina Ivanishvili for Georgia ვიდეო-ზე, რომელშიც წერდა, რომ აქციის მონაწილეთა ქმედებები სამარცხვინო იყო. 
2. ია მაისურაძე 	იპარავს თურქი ექიმის, Gül Dağlar-ის იდენტობას. მოწონებული აქვს გვერდები: Irakli, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები/Bidzina Ivanishvili. აზიარებს პოსტებს მთავრობის მხარდამჭერი და ოპოზიციის მადისკრედიტირებელი გვერდებიდან. 	ჩართული იყო უკრაინის ხელისუფლების, ნიკა გვარამიას, სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიებში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. გააზიარა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ, გაავრცელა სქრინი, სადაც თითქოს ლევან ხაბეიშვილისა და ვანო მერებიშვილის მიმოწერაა ასახული.

3. Mari Loladze 	იყენებს 2017 წლის ივნისში იტალიაში ფოტოგრაფიის შემსწავლელი კურსის სტუდენტის მიერ გადაღებულ ფოტოს. მოწონებული აქვს გვერდები: ბიძინა ივანიშვილი – საქმით ნათქვამი, ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერები. აზიარებს ოპოზიციის მადისკრედიტირებელი გვერდებიდან პოსტებს და მხარდაჭერას უცხადებს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს. 	ჩართული იყო ნიკა გვარამიას, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიაშიც. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს გაავრცელა სქრინი, სადაც თითქოს ლევან ხაბეიშვილისა და ვანო მერებიშვილის მიმოწერაა ასახული. .
4. ზაზა სვანაძე 	იპარავს Instagram-ის მომხმარებლის, Дмитрий Деревнин-ის იდენტობას. აზიარებს ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერ პოსტებს. მოწონებული აქვს “ქართული ოცნების” მხარდამჭერი Irakli, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები/Bidzina Ivanishvili და ოპოზიციის საწინაღმდეგოდ შექმნილი გვერდი სიმართლის დროა. 	ჩართული იყო მიხეილ სააკაშვილის, ნიკა გვარამიას და უკრაინის ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიებში. დატოვა კომენტარი Bidzina Ivanishvili for Georgia ვიდეო-ზე, რომელშიც წერდა,რომ აქციის მონაწილეები სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ. ზაზა სვანაძე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა,ვინც დააზიანა თუნდაც რ მინიმალური Like Reply 5 d გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. გააზიარა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ, გაავრცელა სქრინი, სადაც თითქოს ლევან ხაბეიშვილისა და ვანო მერებიშვილის მიმოწერაა ასახული.

5. Shota Rukhadze 	იპარავს იტალიელი მეღვინის Leonardo Zerilli-ის იდენტობას. მოწონებული აქვს გვერდები: Irakli, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები/Bidzina Ivanishvili, ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერები. 	ჩართული იყო სააკაშვილის, ნიკა გვარამიას და უკრაინის ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიაში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. გააზიარა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ.
6. Nini Lomjaria 	იპარავს იტალიელი კომპოზიტორისა და პოლიტიკოსის Aisha Ruggeri-ის იდენტობას. მოწონებული აქვს Irakli, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები/Bidzina Ivanishvili, ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერები. აზიარებს ირაკლი ღარიბაშვილის და მთავრობის მხარდამჭერ პოსტებს. 	ჩართული იყო სააკაშვილის, ნიკა გვარამიას და უკრაინის ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიაში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს.
7. Iko Gigiberidze  	იპარავს ინსტაგრამის მომხმარებლის vitja_86 იდენტობას. 	ჩართული იყო სააკაშვილის წინააღმდეგ და ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიებში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. გააზიარა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ, დატოვა კომენტარი დატოვა კომენტარი Bidzina Ivanishvili for Georgia ვიდეო-ზე, რომელშიც წერდა რომ აქციის მონაწილეებმა პასუხი უნდა აგონ. 

8. Tamta Tsanava 	იპარავს სარდინიელი გიდის, Marta Staffa-ს იდენტობას. სამუშაო ადგილად მითითებული აქვს “ქართული ოცნება”. აზიარებს ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერ პოსტებს. მოწონებული აქვს გვერდები: Irakli, POSTV – ანალიტიკა, POSTV – ახალი ამბები, ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერები, მიშას არქივი. 	ჩართული იყო სააკაშვილის, ნიკა გვარამიას და უკრაინის ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიაში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. გააზიარა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ, გააზიარა Bidzina Ivanishvili for Georgia ვიდეო.
9. გეგა ლაშხი 	იპარავს Instagram-ის მომხმარებლის, furatramazan-ის იდენტობას. მოწონებული აქვს გვერდები: ბიძინა ივანიშვილი - საქმით ნათქვამი, მიშას არქივი, სიკვდილის პარტია. 	ჩართული იყო სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიაში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. გააზიარა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ, გაავრცელა სქრინი, სადაც თითქოს ლევან ხაბეიშვილისა და ვანო მერებიშვილის მიმოწერაა ასახული
10. Luka Natroshvili 	იპარავს Vkontakte.ru-ს მომხმარებლის, Садриддин Сафаров-ის იდენტობას. ავრცელებს ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერ პოსტებს. მოწონებული აქვს ფეისბუკ-გვერდი მიშას არქივი და საინფორმაციო სააგენტოების გვერდები. 	ჩართული იყო უკრაინის ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიაში. გააზიარა ფარულად გადაღებული ვიდეო, რომელშიც გედევან ფოფხაძე და აკია ბარბაქაძე საუბრობენ.

11. Tinatin Asanidze 	იპარავს ამერიკელი გამომცემლის, Beth Daugherty-ის იდენტობას. მოწონებული აქვს გვერდები: POSTV - ახალი ამბები, POSTV - ახალი ამბები. 	ჩართული იყო სააკაშვილის, ნიკა გვარამიას და უკრაინის ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიაში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს.
12. Olga Khurcidze 	იპარავს ელმჰარსტ უნივერსიტეტის თანამშრომლის, Mary Jo Ramicone-ის იდენტობას.  	ჩართული იყო სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიაში. გაავრცელა სქრინი, სადაც თითქოს ლევან ხაბეიშვილისა და ვანო მერებიშვილის მიმოწერაა ასახული.
13. Nino Maisuradze 	იპარავს ოდესის ოლქში მცხოვრები Екатерина Ткаченко-ს იდენტობას. აზიარებს საქართველოს მთავრობის, ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერ პოსტებს. 	ჩართული იყო სააკაშვილის, ნიკა გვარამიას და უკრაინის ხელისუფლების ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიაში. გააზიარა ალექსანდრე თამაზაშვილის პოსტი, რომელშიც ყოფილი პარლამენტარი წერს, რომ მეორე ფრონტის მომხრეების მიერ მართული აქციები ევროპას გვაშორებს და ოკუპაციასთან გვაახლოებს. გაავრცელა სქრინი, სადაც თითქოს ლევან ხაბეიშვილისა და ვანო მერებიშვილის მიმოწერაა ასახული, გააზიარა Bidzina Ivanishvili for Georgia ვიდეო.
14. Nene Beridze 	იპარავს ინსტაგრამის მომხმარებლის, Lela Shylo-ს იდენტობას, მოწონებული აქვს გვერდები: POSTV,POSTV - ანალიტიკა, POSTV - ახალი ამბები, POSTV - გართობა, Shalva Ramishvili, ბიძინა ივანიშვილი & საზოგადოება. 	ჩართული იყო სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიაში. დატოვა 2 კომენტარი გააზიარა Bidzina Ivanishvili for Georgia ვიდეო-ზე, რომელშიც წერდა, რომ აქციის მონაწილეებმა ქვმედებებზე პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ.